საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის კოლექციიდან

The collection of S. Janashia Museum of Georgia

2006



# ქართველთა საჭურველი

# GEORGIANS' WEAPONS

იარაღის ფონდის ისტორია მუზეუმის დაარსებასთან ერთად იწყება. 1852 წლის აპრილში, თბილისში გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა კავკასიური მუზეუმი ეთნოგრაფიული კაბინეტითურთ, რომლის პირველი კურატორი იყო ეთნოგრაფი და პოეტი რაფიელ ერისთავი. 1852 წლის ნოემბერში კი ახლადშექმნილ მუზეუმში, მომავალი იარაღის ფონდისათვის, პირველი ექსპონატები შემოსულა. ხოლო 1854 წლის მარტში, გეოგრაფიული საზოგადოების თხოვნით, ეთნოგრაფიული ექსპონატები — საჭურველი და კოსტუმი პირველად შეუგროვებია თავად ლევან ჩოლოყაშვილს (სოფ. ერწო, ხევსურეთი).

მიუხედავად ასეთი წამოწყებისა, XIX ს-ის მიწურულში საჭურვლის შეგროვებას არ ჰქონია სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი უნიკალური კოლექცია ქართული საჭურვლისა, იმდროინდელ საქართველოში მომუშავე უცხოელთა მცდელობით საზღვარგარეთულ მუზეუმებში აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „არც საქართველოს მუზეუმების კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში, ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი, XI-XIII საუკუნეების ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუზში (იარაღის მუზეუმში) ნახავთ ადამიანის, საქართველოდან XIX ს-ში გატანილს, მანეკენზე ჩამოცმულს, XIII საუკუნის რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს. ოქროს ზარნიშით უხვად შემკული მშვენიერი ქართული მუზარადიც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ის არის საქართველოში"-ო.

ადგილობრივი, ქართული საჭურველი, მეფის რუსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოში შეძენილი, მრავლად არის გატანილი რუსეთშიც. ხსენებული იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებშია დაცული.

მიუხედავად ეროვნული საგანძურის ასეთი სახით გადინება-გაფანტვისა, ეთნოგრაფიის განყოფილების იარაღის ფონდში უნიკალური და უძვირფასესი ექსპონატები მოგვეპოვება, რომელთა საერთო რაოდენობა 3000 ერთეულს აღემატება.

იარაღის ფონდი წარმოადგენს ძირითად თბილისის არსენალისეულ და ცალკეულ, კერძო კოლექციონერთა: ზ. კობიაშვილის, ი. სუმბათაშვილის,მხატვარ დ. გურამიშვილის, კაფაროვის, მირზოევის, მედ-ჯილდილ-სალტანეს და სხვათა მიერ შევსილ მდიდარ კრებულს. 1935 წელს უძვირფასესი კოლექცია შემოვიდა მეტეხის ძველი ქართული ხელოვნების სექტორიდანაც (299 ნივთი), ამავე წელს იარაღის მდიდარი კოლექცია მიიღო მუზეუმმა ერთერთი ანტიკვარული მაღაზიიდან (300-მდე ნივთი). ფონდში თავმოყრილია აგრეთვე მუზეუმის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში შეძენილი და ჩამოტანილი უნიკალური ნივთიერი მასალა.

იარაღის ფონდში, გარდა ქართული საჭურვლისა, დაცულია მსოფლიოს სხადასხვა ხალხების ოსტატთა მიერ შექმნილი შესანიშნავი და უძვირფასესი ნიმუშები:

კავკასიური — აზერბაიჯანული, სომხური, დაღესტნური, ჩეჩნური, ჩერქეზული, ოსური და სხვ.

წინა აზიური — უპირატესად ირანული და თურქული.

აზიური — ინდური, ჩინური, იაპონური.

ევროპული — რუსული, იტალიური, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ბელგიური, ავსტრიული, უნგრული, პოლონური და სხვ.

აგრეთვე აფრიკული და ამერიკული საბრძოლო იარაღები.

ექსპონატთა ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება XVI-XX სს-ით.



The history of armoury begins with foundation of the Museum. In april 1852 a Caucasian Museum with ethnographic unit was set up at the Caucasian branch of Geographical Society in Tbilisi. The first mentor of this museum was ethnograph and poet Rafiel Eristavi. In November 1852 first samples of arms arrived at the newly established Museum for future armoury. In march 1854, at the request of Geographical Society, a nobleman Levan Cholokashvili was the first hwo collected ethnographic items — weapons and costumes, from Khevsureti region.

However, it should be mentioned that back in the 19th century collection of arms was not systematic. Unfortuntely, lots of unique collections were taken out of Georgia by foreigners working in Georgia and later appeared in Museums abroad. Academician Ivane Javakhishvili sadly remarked that it was impossible to find armour and harness of XI-XIII centuries knights anywhere in Georgia. It is only in Berlin one can see the complete set of knight's attire with armour and horse's harness profusely studdied with Georgian golden ornament. In addition to the above, Russian tsarist authorites bought and took out of Georgia local weapons, they are now on display in museums of Moscow and St. Peterburg. Despite of above-mentioned facts, armoury can nevertheless boast of unique and precious items, the overall number of which exceeds 3000.

Armoury has items from Arsenal and private donations made by: Z. Kobiashvili, I. Sumbatashvili, artist D. Guramishvili, Kaparov, Mirzoev, Mid-Ieldil-Saltane and others.

In 1935 armoury was enriched by the Metekhi collection (299 items) and fabulous donation of weapons from an antique shop (up to 300 items).

Items found during ethnographic survey trips also greately contribute to the armoury collection.

Alongside with Georgian arms, one can find in armoury masterpieces of different cultures and peoples reflecting the period of XVI-XX c.c.

The Georgian armoury together with Georgian weapons are displayed items from:

Caucasus — Azerbaijan, Armenia, Dagestan, Chechnia, Cherkezia, Ossetia, etc.

Asia miror — Predominatly from Turkey and Iran.

Asia — India, China, Japan.

Europe — Russia, Italy, Germany, England, France, Belgium, Austria, Hungary, Poland, etc.

As well as arms from Africa and America.


ავტორი: ა. ბიჭაშვილი
გამომცემელი: გ. ნოზაძე
კონსულტანტი: მ. ქაფიანიძე
ფოტოგრაფი: გ. ბუმბიაშვილი

Autor: A. Bichashvili
Published by: G. Nozadze
Konsultant: M. Kapianidze
Photos: G. Bumbiashvili

ბეჭდვა: „ფაუნტეინ პრინტი"
ტელ: 35 67 08; 35 40 85
Printed by: „Fountain Print"
Tel: 35 67 08; 35 40 85

მადლობას ვუხდით საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმს მხარდაჭერისათვის

Special thanks to S. Janashia Museum of Georgia for the support



© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2005

© The Georgian National Museum, 2005



ტირაჟი 1000



წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული ილუსტრაციები და ფოტომასალა წარმოადგენს ავტორის, გამომცემლის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილებას.



ხევსური მეომრის აღჭურვილობა
Khevsurien's armour and weapons









კავკასიური დამბაჩები
Caucasien type pistols



მუხრანბატონის დამბაჩა (ევროპული ტიპი)
The pistol of Mukhranbatoni

ქართველთა
საჭურველი
GEORGIANS' WEAPONS



ქართული „გორდა ხმალი“
The Georgian „Gorda Khmali“











თბილისელ ოსტატთა შედევრები
Tbilisien foremans' masterpieses



ქართული ყალაჯურიანი ხმალი
The typical Georgian cavalry sword



მახვილი
The Sword
(XII–XIII)



იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს ჯაჭვის პერანგი
The armour of King Aleqsandre III



კავკასიური კაჟიანი დამბაჩები
Caucasien flint-lock pistols

ქართველთა
საჭურველი

GEORGIANS' WEAPONS



გიორგი სააკაძის თოფი
The gun of Giorgi Saakadze



მეფე ერეკლე II-ს თოფი და ხმალი
The gun and the sabre of King Erekle II



მეფე გიორგი XII–ს თოფი
The gun of King Giorgi XII

მეფე სოლომონ II–ს თოფი
The gun of King Solomon II

მეფე ბაქარის თოფი
The gun of King Bakar

# ქართველთა საჭურველი

# GEORGIANS' WEAPONS



ქართული სატევრები
Georgian daggers



თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის სატევარი





ჩაჩქანი და მუზარადი

